№2195 2015 წლის 13 ოქტომბერი ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. მიმდინარე წელს მომხდარი სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და საექსპერტო მომსახურებისათვის, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის გამოუყოს 1 216 695 (ერთი მილიონ ორას თექვსმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი, მათ შორის:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – 681 923 (ექვსას ოთხმოცდაერთი ათას ცხრაას ოცდასამი) ლარი;

ბ) ახმეტის მუნიციპალიტეტს – 321 110 (სამას ოცდაერთი ათას ას ათი) ლარი;

გ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – 213 662 (ორას ცამეტი ათას ექვსას სამოცდაორი) ლარი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, ხოლო ცაგერის მუნიციპალიტეტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხიდან 175 797 (ას სამოცდათხუთმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარის ფარგლებში, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხიდან 37 865 (ოცდაჩვიდმეტი ათას რვაას სამოცდახუთი) ლარის ფარგლებში, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**